სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/75

ქ. თბილისი 29 ივნისი 2026 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე სახელობითი სტიპენდიის შემოღებისა და გაცემის წესის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, ზურაბ გვიშიანის 2026 წლის სამსახურებრივი ბარათის, (სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 5 ივნისის სხდომის №7 ოქმის) და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 მივნისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის წინადადება - სამშენებლო ფაკულტეტზე ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის გამოჩენილი მეცნიერის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის, პროფესორ ალექსი გორგიძის სახელობითი სტიპენდიის შემოღებისა და გაცემის წესის თაობაზე.
2. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**